# კონსტრუქციული დასკვნა
## ქ. თბილისში, ყუშიტაშვილის ქ. №84-ში მდებარე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის შესაძლებლობასთან დაკავშირებით

შპს "CORSO"-ს დირექტორის თ. ვაშაკიძის მოთხოვნით შპს "პროგრესი"-ს სპეციალისტების მიერ შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, ყუშიტაშვილის ქ. №84-ში და ყუშიტაშვილის ქ. №86-ში მომიჯნავედ მდებარე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მდგომარეობა, ყუშიტაშვილის ქ. №84-ში არსებული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟთან დაკავშირებით.

საცხოვრებელი სახლების გეგმარებითი პარამეტრები:

- ყუშიტაშვილის ქ. №84-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი – ერთსართულიანი, აგურის წყობის, გეგმაში ზომებით 5.00X6.80მ. სათავსოს სიმაღლე H=2.80მ. სახურავი ერთქანობიანი, თუნუქის.
- ყუშიტაშვილის ქ. №86-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი – ერთსართულიანი, შერეული კონსტრუქციის (ხე, აგურის წყობა), გეგმაში ზომებით 6.20X6.30მ. სათავსოს სიმაღლე H=2.20მ. სახურავი ორქანობიანი, თუნუქის.

ადგილზე შემოწმებით დადგენილი იქნა, რომ ყუშიტაშვილის ქ. №86-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ყუშიტაშვილის ქ. №84-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მიშენებას და ეზოების გამყოფი ზოლის თანხვდენილად გააჩნიათ №84-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მზიდი საერთო კედელი.

ყუშიტაშვილის ქ. №84-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟისას, აუცილებელ პირობას წარმოადგენს №84-ის და №86-ის საცხოვრებელი სახლების საერთო კედლის წყობის შენარჩუნება. კედლის ტორეცებზე შესრულებული იქნას წყობის გამაგრება-გაძლიერება წყობის სიმაღლეზე.

ზემოთაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით ყუშიტაშვილის ქ. №84-ში არსებული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი შესაძლებელია.

შპს "პროგრესი"-ის დირექტორი ჯ. გიგინეიშვილი

ინჟინერ-მშენებელი ჯ. ფირცხალავა

ქ. თბილისი 05.02.2014წ.